

საიდ. №65095/03

გ ა დ ა ო ო ე გ ე ტ ი ლ ე ბ ა № 175-03/12

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ქემაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ახოძაძე, დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „კინგსტონ ტექნოლოჯი კორპორეიშენ“ (აშშ) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1346/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „DATA TRAVELER“ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „DATA TRAVELER“ ქართულად ნიშნავს „მონაცემების გადამტანს“, შესაბამისად აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ („ენერგოდამოუკიდებელი USB ფლეშ მემორების მოდულები“), რისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, რადგან მიუთითებს მხოლოდ მის დამახასიათებელ თვისებებზე და დანიშნულებაზე, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი ციციხო ბუჩუკური არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის „DATA TRAVELER“ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად.

აპელანტი მიუთითებს, რომ ექსპერტის დასკვნაზე, სადაც ექსპერტმა მიიხნია, რომ „DATA TRAVELER“ ქართულად ნიშნავს „მონაცემების გადამტანს“, მაგრამ არ მიუთითა აღნიშნული თარგმანის წყარო, რაც დაადასტურებდა დასკვნაში მითითებულ მნიშვნელობას. აპელანტი აცხადებს, რომ მან ვერ მოიძია ლექსიკონში აღნიშნული „DATA TRAVELER“-ის ექსპერტიზის მიერ შემოთავაზებული თარგმანი. აპელანტის მიერ მოძიებული ინფორმაციით „მონაცემების გადამტანი“ ითარგმნება შემდეგნაირად: „data transporter“ ან „data carrier“ და არა „DATA TRAVELER“. სიტყვა „TRAVELER“ თარგმანში ნიშნავს „მოგზაურს“, „მგზავრს“ და არანაირი კავშირი არ აქვს „გადატანასთან“. შესაბამისად, აპელანტი თვლის, რომ ექსპერტმა გამოიტანა არასწორი დასკვნა და უსაფუძვლოდ იქნა მიღებული უარი აპელანტის ნიშნის რეგისტრაციაზე.

აპელანტის აზრით, განცხადებული ნიშანი ფანტაზიურია და არ მიუთითებს რაიმე ტიპის მახასიათებლებზე განცხადებული საქონლისათვის. აპელანტის განცხადებული ნიშნით ნიშანდებული საქონელი უკვე კარგად არის დამკვიდრებულიც და ცნობილიც შესაბამის სამომხმარებლო ბაზარზე (მათ შორის საქართველოში), ფართოდ გამოიყენება და ასოცირდება მხოლოდ აპელანტ კომპანიასთან, რასაც აპელანტის განცხადებით ადასტურებს ინტერნეტით მოძიებული მასალა.

აპელანტის წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ აპელანტის ნიშანი რეგისტრირებულია, როგორც აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებაში, ასევე „ისმო“-ს საერთაშორისო ბიუროში და ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების და დიზაინის უწყებაში.

შესაბამისად, აპელანტი მოითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას განცხადებული საქონლის მიმართ და საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1346/03 ბრძანების ბათილად

ცნობა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1346/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „DATA TRAVELER” არ არის აღწერილობითი იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი დაცვა. განცხადებული ნიშანი „DATA TRAVELER” ფანტაზიური ნიშანია და იგი არ ითარგმნება, როგორც „მონაცემების გადამტანს” არამედ შესაძლებელია ითარგმნოს, როგორც „მოგზაური მონაცემები”. „მონაცემების გადამტანი” უფრო მეტად ითარგმნება როგორც „DATA TRANSPORTER”. რაც შეეხება სიტყვა „TRAVELER” იგი აღნიშნავს „გადამყვან ამწეს”, „მოძრავ ამწეს” (ABBYY Lingvo 12, Electornic Dictionary). რაც შეეხება სიტყვა „TRAVELER”-ის ამერიკულ ვერსიას იგი იწერება, როგორც „TRAVELLER” (ABBYY Lingvo 12, Electornic Dictionary). სიტყვა „TRAVELLER”-ის პირველადი მნიშვნელობაა „მოგზაური”, „მოხეტიალე” (ABBYY Lingvo 12, Electornic Dictionary) და არც ერთ სხვა ამნიშვნელობით არ გამოიყენება როგორც „გადამტანი”. არც ერთ ზემოთმოყვანილ შემთხვევაში სიტყვას „TRAVELER” არ გააჩნია „გადამტანის” მნიშვნელობა. ამდენად, განცხადებული ნიშანი ვერ იქნება მიხნეული „მონაცემების გადამტან” აღნიშვნად, იგი უფო მეტად ფანტაზიურია და არ არის აღწერილობითი განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ „ენერგოდამოუკიდებელი USB ფლეშ მეხსიერების მოდულები”.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1346/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ვ ე ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „კინგსტონ ტექნოლოჯი კორპორეიშენ“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1346/03 ბრძანება.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „DATA TRAVELER“ (საიდ. №65095/03) დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ქემაშვილი

წევრები:

დ. ახობაძე

დ. ჭიჭინაძე